ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3024762

ნომერი: AR1466674

თარიღი : 26.12.2016

გაცემის თარიღი : 09.01.2017

გაცნობის თარიღი : 09.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქვიშხეთი , N 1ბ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ვარდისუბანი , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შოთა ხმალაძე პ/ნ 01010004091
- ქვიშხეთის ქ.1ა

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1466674 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #AR1462303 განცხადებით მოთხოვნილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას და ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 8 დეკემბერს # AR1462303 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა

მოქალაქე შორენა კიკვაძემ და მოითხოვა ქ.თბილისში #01.12.08.006.018 საკადასტრო ერთეულზე კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, #3005852 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული ნებართვის გაცემა არ მომხდარა.
ამასთან გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, #01.12.08.006.018 საკადასტრო ერთეულზე სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.
თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების განახლებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.
ამასთან გაცნობებთ, რომ თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge